ნინო მაისურაძე •

ევროკავშირის პოლიტიკა საქართველოსთან ურთიერთობაში: ისტორიული ჭრილი და მნიშვნელოვანი ასპექტები

აბსტრაქტი

ევროკავშირი დღეს ევროპაში წამყვანი საერთაშორისო აქტორია, რომელიც ევროპის კონტინენტზე ხშირად მთავარ უსაფრთხოების გარანტად მიიჩნევა. ევროპაში დღეს მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში მითუმეტეს აქტიურდება ევროკავშირის როლის განსაზღვრა, როგორც მშვიდობის დამკვიდრებელის. ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობის დასაწყისად 1991-1992 წელი უნდა დავასახელოთ, რადგან საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთანავე ნათელი იყო ევროკავშირთან ურთიერთობის დამყარების მცდელობები, რაც დასტურდება ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარებებითაც, როგორც ფინანსური, ისე ჰუმანიტარული.

ურთიერთობის საწყისი ეტაპიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1996 წელს ლუქსემბურგში ევროკავშირს და საქართველოს შორის გაფორმებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, რომლის შედეგადაც შეიქმნა თანამშრომლობის ინსტიტუტები, რომელთა მიზანიც იყო ურთიერთობების გაღრმავება. 2014 წელს საქართველოს და ევროკავშირს შორის გაფორმებულმა „ასოცირების შეთანხმებამ“ ჩაანაცვლა 1996 წელს ხელმოწერილი „პარტიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“. 2014 წელს „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ შემდეგ ურთიერთობები უფრო გაღრმავდა, რადგან დოკუმენტი მხარეთა პარტნიორობაზე, მათი ურთიერთდახმარების შესაძლებლობებზე იყო დამყარებული. შეთანხმების ყველაზე საყურადღებო პუნქტი: ევ-

---

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

როკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შექმნაა (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA), რომლის შედეგადაც საქართველოში წარმოებული პროდუქცია-მომსახურე-ბისთვის ევროკავშირის ბაზარი გაიხსნა. შესაბამისად ეს ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით. თუმცა ეს შეთანხმება უფრო მას-შტაბური იყო და მოიცავდა თანამშრომლობას ისეთი პრიორიტე-ტული მიმართულებებით, როგორიცაა პოლიტიკური და სოცი-ალური სფეროები.

ევროკავშირი მთავარ დიპლომატიურ შუამავლად წარმოდგა აგვისტოს ომის დროს რუსეთს და საქართველოს შორის. საქარ-თველო-ევროკავშირის ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი კი 2023 წელს დაიწყო, როცა საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღო. მართალია 14 დეკემბერს საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ოფიციალურად მიიღო, მაგრამ 8 ნოემბერს, როდესაც ევროკომისიამ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის ქვეყნის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა, ეს გადაწყვეტილება იმ პირობით მიიღეს, რომ საქართველო ცხრა მიმართულებით გადადგამდა პროგრესულ ნაბიჯებს. მნიშვნელოვანი ასპექტია იმ ახალი პუნქ-ტების დამატება, რომელიც 2022 წლის 12 რეკომენდაციაში არ შედ-იოდა და რომლიდანაც ერთ-ერთი ახალი დათქმაა: ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ დეზინფორმაციასთან და უცხო-ურ საინფორმაციო მანიპულაციებთან ბრძოლა. 2024 წელს ევრო-კავშირი-საქართველოს ურთიერთობები რთულ ეტაპზე გადავიდა, რაც წლის ბოლოს დაგვირგვინდა ქართული მხარის მიერ ევროკავ-შირში გაწევრიანების მოლაპარაკებების გადადებით 2028 წლამდე.

კვლევის მიზანია ევროკავშირი-საქართველოს ურთიერ-თობის მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვა ქრონოლოგიურად და იმ მახასიათებლების შესწავლაც, რომელიც შეიძლება ხელის-

შემშლელი აღმოჩნდეს ამ ურთიერთობის განმტკიცებისთვის. კვლევა თვისებრივია და გამოყენებული კვლევის მეთოდია - დოკუმენტების ანალიზი, მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით კვლევა აფასებს ევროკავშირის მიერ საქართველოს მიმართ ჩამოყალიბებულ პოლიტიკას.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, საქართველო, საგარეო პოლიტიკა, კანდიდატი ქვეყნის სტატუსი.

შესავალი

2023 წლის ბოლოს საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა, მაგრამ 2024 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები 2028 წლამდე გადადო. მიღებულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია მასობრივი პროტესტი საქართველოს დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით მასშტაბური სახე თბილისში მიმდინარე ყოველდღიურმა პროტესტმა მიიღო. რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართველი საზოგადოების მიერ საგარეო პოლიტიკაში აღებული დასავლური კურსი და ამ გადაწყვეტილების უცვლელობა. დღეს გართულებულ ურთიერთობასთან ერთად მნიშვნელოვანია ის გზა, რომელიც ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობამ განვლო და ის საკვანძო ასპექტები ამ პოლიტიკის, რომელთა გამოც დღეს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი აქვს საქართველოს, თუმცა ქვეყნის გაწევრიანების პროცესი შეჩერებულია. კვლევის მიზანია ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვა ქრონოლოგიურად და იმ მახასიათებლების შესწავლა, რომელიც შეიძლება ხელისშემშლელი აღმოჩნდეს ამ ურთიერთობის განმტკიცებისთვის. კვლევა თვისებრივია და გამოყენებული კვლევის მეთოდია - დოკუმენტების ანალიზი, მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით კვლევა აფასებს ევროკავშირის მიერ საქართველოს მიმართ ჩამოყალიბებულ პოლიტიკას.

ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობის დასაწყისი

შეიძლება ვთქვათ, რომ ევროკავშირის და საქართველოს შორის ურთიერთობა 1991-1992 წლებში დაიწყო, ანუ საქართელოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების თანავე სახელმწიფოსთვის ორიენტირად იქცა ევროკავშირთან ურთიერთობის დამყარება და გაღრმავება. ამ ურთიერთობის წამყვანი მიმართულება კი ეკონომიკური დახმარებებით გამოიხატებოდა. 1993 წლისთვის ევროკავშირის დახმარების სამი ძირითადი მიმართულება უნდა გამოიყოს საქართველოში: ჰუმანიტარული დახმარება, ტექნიკური დახმარება და საფინანსო დახმარება. 1996 წელს (22 აპრილს) ლუქსემბურგში ევროკავშირს და საქართველოს შორის ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (PCA), რომლის შედეგადაც შეიქმნა თანამშრომლობის ინსტიტუტები, რომელთა მიზანიც იყო ურთიერთობების გაღრმავება. ეს თარიღი საყურადღებოა ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში, რადგან ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი შეთანხმება დოკუმენტის დონეზე, რომელმაც კონკრეტული შედეგები მოიტანა ქვეყანაში დასავლური კურსის აღების მიმართულებით. შეთანხმების შედეგად შექმნილ ინსტიტუტებში შედიოდა: საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტი, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭო, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ქვეკომიტეტი... მხარეები თანხმდებოდნენ, რომ პარტნიორობის მიზანი იყო: 1) მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება; 2) საქართველოს მხარდაჭერა დემოკრატიის განმტკიცების გზაზე; 3) ხელის შეწყობა საქართველოსთვის, რათა ქვეყანას დაესრულებინა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა; 4) ხელის შეწყობა მხარეებს შორის ვაჭრობის განვითარების და ჰარმონიული ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებისთვის. ეს შეთანხმება მოიცავდა, როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ

თანამშრომლობას, ასევე სოციალურ, საკანონმდებლო, სამოქალაქო-სამეცნიერო, ტექნოლოგიურ და კულტურულ თანამშრომლობას (შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, 1996).

ევროკავშირს და საქართველოს შორის ურთიერთობის გაღრმავებასთან ერთად 2004 წელს საქართველო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) ერთვება ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით. ეს სამეზობლო პოლიტიკა ითვალისწინებს ევროკავშირს და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დაახლოების გაძლიერებას. აღმოსავლეთ პარტნიორობა ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე ექვს მეზობელ ქვეყანასთან (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) გაფორმდა და მოიცავდა ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებს. ამ პარტნიორობის ერთ-ერთი საყურადღებო ნაწილი ენერგოუსაფრთხოება და ხალხთაშორისი კავშირებია. სწორედ ამ მიმართულებით ჩამოყალიბებული ინიციატივები გულისხმობს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას, ენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყაროს მოძიებას, გარემოს დაცვის ხელშეწყობას, კლიმატის ცვლილებების საკითხზე პრობლემების გადაჭრას. ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავება ყველა პარტნიორ ქვეყანასთან თანაბარი სისწრაფით არ მომხდარა. სწორედ წარმატებულად განხორციელებული აღმოსავლეთ პარტნიორობა გახდა საფუძველი ასოცირებული ტრიოს ინიციატივის (Associated Trio) (კაპანაძე).

ცხადია ურთიერთობის გაღმავება გამოიხატებოდა საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარებების რაოდენობითაც, მაგალითად: 2008 წელს ბრიუსელში ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ დონორთა კონფერენციაზე საქართველოსთვის 2008-2010 წლებისთვის 4.5 მილიარდი დოლარი გამოიყო დახმარების სახით (საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია).

აგვისტოს ომის დროს ევროკავშირის როლი და მისი პოლიტიკა ოკუპირებულ რეგიონებში აგვისტოს ომამდე

ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველომ გააჟღერა მკაფიო მესიჯები, რომ დიდი სურვილი ჰქონდა ევროკავშირის წევრობის და აღებული ჰქონდა ევროინტეგრაციის კურსი. საქართველო მონაწილეობდა სამხედრო მისიებში კოსოვოსა და ერაყში, რაც წარმოაჩენდა მის სახეს, როგორც უსაფრთხოების ხელშემწყობის, რამაც ჯამში ხელი შეუწყო საქართველოს დაახლოებას ევროპულ და ტრანსატლანტიკურ ინსტიტუტებთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამის მიუხედავად, მკვლევართა ნაწილი ხედავს ევროკავშირის ქმედებებში ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე რუსეთის არგაღიზიანების გამოკვეთილ პოლიტიკას.

სტატიაში "შეუძლია ევროკავშირს საქართველოში მშვიდობის მოპოვება?", საუბარია იმაზე, რომ ევროკავშირის ყველაზე დიდი წარუმატებლობა იყო აგვისტოს ომამდეც რბილი პოლიტიკის გამოყენება ამ კონფლიქტთან მიმართებით. მაგალითად, 2005 წელს რუსეთმა ეუთოს 150 კაციანი საზღვრის სადამკვირვებლო მისია შეაჩერა რუსეთ-საქართელოს საზღვარზე, საქართველომ კი ევროკავშირი მოიწვია სიტუაციის გასარკვევად, ხოლო ევროკავშირის პასუხი იყო სამი წევრისგან შემდგარი ჯგუფის (შემდეგში თორმეტამდე გაიზარდა მათი რიცხვი) გამოგზავნა საქართველოს დასახმარებლად საზღვრის მართვის სისტემის რეფორმირებაში. 2007 წელს კი ევროკავშირის ფაქტების დამდგენმა მისიამ რამდენიმე მოკრძალებული ნაბიჯი შეიმუშავა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლად, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსება, ევროპული საინფორმაციო ცენტრების გახსნა და ევროკავშირის პოლიციის მოკავშირე ოფიცრების დანიშვნა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში, მაგრამ ეს მცირე ნაბიჯებიც დაიბლოკა და გადაიდო, რადგან ევრო-

კავშირის წევრებს ეშინოდათ მოსკოვის გაღიზიანების (Popescu&Leonard&Wilson, 2008).

2006 წელს რუსეთის მიერ დაწესდა სავიზო შეზღუდვები ქართველ მიგრანტებზე და ემბარგო ქართულ საკვებ პროდუქტზე, რაც მეტყველებდა რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებულ ურთიერთობაზე. საქართველოს და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების მკაფიო მოწინააღმდეგე იყო რუსეთი და ბუქარესტის 2008 წლის ნატოს სამიტის შემდეგ, სადაც გაწევრიანების შესაძლებლობები უკვე რეალურად განიხილებოდა, რუსეთმა გამოიყენა ორი ავტონომიური რეგიონი, რომლებსაც მანამდეც უჭერდა მხარს, რათა ეს გაფართოება ისევ აბსტრაქტულ მიზნად დაეტოვებინა (Arenare, 2015).

აგვისტოს ომამდე ევროკავშირის დამოკიდებულება საქართველოსადმი მეტწილად პოლიტიკური სფეროს გარეთ თანამშრომლობაში გამოიხატებოდა, რის საფუძვლადაც ევროკავშირის ქვეყნების რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულება უნდა დავასახელოთ, თუმცა ომის პერიოდში და ომის შემდეგ ეს თანამშრომლობა უფრო პოლიტიკური მიმართულებით წარიმართა. ომის დროს საქართველოს ყველაზე ღიად მხარი დაუჭირეს ორგანიზაციის ახალმა წევრებმა, რომელთაც თავად ეშინიათ რუსეთის აგრესიის, ლიეტუვამ, ლატვიამ, ესტონეთმა და პოლონეთმა. რუსეთზე სანქციების დაწესების მოთხოვნას შეუერთდა დიდი ბრიტანეთიც, საქართველოსთვის დახმარების გაძლიერების მომხრეთა რიცხვში კი იყვნენ საფრანგეთი და გერმანია (2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ: რუსეთ საქართველოს ომის შედეგები, 2008).

აგვისტოს საქართველო-რუსეთს შორის ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შუამავი იყო ევროკავშირი. სწორედ ევროკავშირის მაშინდელმა მორიგე თავჯდომარემ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზმა თბილისში რუსეთის პრეზიდენტთან შეთანხმებული გეგმა ჩამოიტანა, რასაც საქართველომ ხელი 15 აგვისტოს,

ხოლო რუსეთმა 16 აგვისტოს მოაწერა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეთანხმების შემდეგ სარკოზმა ასეთი განცხადება გააკეთა: *„სავსებით ნორმალურია, რომ რუსეთს სურს დაიცვას თავისი ინტერესები და რუსების ინტერესები რუსეთის შიგნით, ისევე როგორც რუსულენოვანებისა რუსეთს გარეთ... და ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვგულისხმობ საერთაშორისო თანამეგობრობას, გვსურს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენობისა და დამოუკიდებლობის გარანტირება“* (კუნჭულია, 2009). 1 ოქტომბერს ევროკავშირმა 200 სამხედრო გაგზავნა ბუფერულ ზონებში დასაკვირვებლად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეთანხმებით მიღწეული პირობები მუდმივად ირღვევა რუსეთის მხრიდან და მცოცავი ოკუპაციის მეშვეობით საზღვრის ხაზი იცვლება.

რაც შეეხება ევროკავშირის ოკუპირებულ რეგიონებში წარმართულ პოლიტიკას, დახმარებების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ 2008 წლამდე ევროპული გაერთიანება აფხაზეთში მობილიზებული იყო ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის და ამ მხრივ უწევდა რეგიონს დახმარებას. ცხინვალის რეგიონში ევროპული ჩართულობა რამდენიმე პრიორიტეტულ სფეროზე ვრცელდებოდა, რომელთა შორისაც იყო: გზების ინჟინერია, ფინანსები, საბანკო საქმიანობა, სოფლის მეურნეობა და ენერგეტიკა...ცხინვალის რეგიონში ევროკავშირი დახმარებების პაკეტის გაცემის დროს უფრო სტრატეგიულ მიდგომას მიმართავდა, რაც შეიძლება რამდენიმე მიზეზით აიხსნას: 1) კონფლიქტი ომამდე უფრო ადვილად მოსაგვარებელი ჩანდა ამ რეგიონში; 2) ცხინვალი მნიშვნელოვან პუნქტად ითვლებოდა, რომელიც ახლოსაა თბილისთან და რეგიონის კონტროლის გარეშე, შეუძლებელი იყო საქართველოს მთავრობისთვის საზღვრის და როკის გვირაბის კონტროლი, რომელიც საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი ძირითადი გზაა (Arenare, 2015).

ასოცირების შესახებ შეთანხმება

ახალი ეტაპი ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობის დაიწყო აგვისტოს ომის შემდეგ, რაც საბოლოო ჯამში დაგვირგვინდა 2014 წლის 27 ივნისს „ასოცირების შეთანხმების“ ხელმოწერით, რომელიც რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს. „ასოცირების შეთანხმება“ მხარეთა პარტნიორობის და მათი ურთიერთდახმარების შესაძლებლობებზე დამყარებული ორმხრივი დოკუმენტია. დოკუმენტში გაწერილია ის გეგმა, რომლის განხორციელების შემთხვევაში საქართველო ევროკავშირის სტანდარტებს დაუახლოვდება. გეგმაში ასახულია ის სავალდებულო რეფორმები სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც პროგრესის მომტანი იქნება საქართველოსთვის. თუმცა ამ შეთანხმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი: ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცეა (DCFTA), რომლის მეშვეობითაც საქართველოში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების სექტორისთვის ევროკავშირის ბაზარი გაიხსნა. ევროკავშირს მსგავსი შეთანხმება სხვა ქვეყნებთანაც აქვს დადებული, მაგრამ მოლდოვასთან, საქართველოსთან და უკრაინასთან გაფორმებული ეს ხელშეკრულება გამოირჩევა იმით, რომ ის მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის პუნქტსაც. რეალურად „ასოცირების შეთანხმების“ ხელშეკრულებაზე მუშაობა 2010 წელს დაიწყო. საქართველოსთვის ხელშეკრულების მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, რომ ეს არის კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარების გეგმა, რომლის განხორციელებაც საქართველოსთვის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას ნიშნავს. ეკონომიკის სფეროს გარდა, გეგმა მოიცავს ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური მიმართულების ყველა სფეროს. „ასოცირების შეთანხმებამ“ შექმნა თანამშრომლობის ახალი სამართლებრივი ჩარჩო და ჩაანაცვლა 1996 წელს ხელმოწე-

რილი „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ (ასოცირების შესახებ შეთანხმება).

მნიშვნელოვანია ის, რომ ხელშეკრულება ყოვლისმომცველია და ბევრ სფეროზე ვრცელდება, განხორციელების გეგმა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რომლის რეალურად განხორციელების შემთხვევაში შეუქცევადი ხდება ქვეყნის დასავლური საგარეო კურსის განმტკიცება და ევროკავშირთან დაახლოება. ჩემთვის საყურადღებოა ის პატივისცემა, რომელიც შეთანხმებაშია გამოხატული საქართველოს დამოუკიდებლობისა, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. ხაზი გაესვა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობას, თუნდაც სხვა შესაბამისი საერთაშორისო აქტორების პოლიტიკურ დიალოგში ჩართვის მეშვეობით. ეს მუხლი შეთანხმების თავდაპირველ გეგმაში არ იყო გაწერილი და საქართველოს დელეგაციის ძალისხმევის შედეგად შევიდა ხელშეკრულების საბოლოო ვერსიაში. შეთანხმება სტატუსით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ეროვნული კანონმდებლობა (მათ შორის იურიდიული შეუსაბამობის შემთხვევაში უნდა შეიცვალოს კანონმდებლობა) და უფრო დაბლა, ვიდრე ქვეყნის კონსტიტუცია (კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში უნდა შეიცვალოს შეთანხმება). შეთანხმების შესრულების მონიტორინგის მიზნით შეიქმნა ასოცირების საბჭო, ასოცირების კომიტეტი და თემატური ქვეკომიტეტები (ასოცირების შესახებ შეთანხმება).

DCFTA-ასოცირების შეთანხმების გამორჩეული ნაწილი

„ასოცირების შეთანხმების“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პუნქტი არის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შექმნა ევროკავშირთან, რომლის მეშვეობითაც ქართული პროდუქციისა და წარმოებული მომსახურებისთვის გაიხსნა ევროკავშირის ბაზარი. გამორჩეულია ეს ნაწილი ხელშეკრულების, რადგან მასში იგულისხმება სატარიფო და არასატარიფო

ბარიერების აღმოფხვრა (რაც არ ხდება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (Free Trade Agreement) შემთხვევაში). ბაზარი, რომელიც ამ შემთხვევაში გაესხსნა საქართველოს მოიცავს 27 ქვეყნის მომხმარებელს. შეთანხმების ამ პუნქტით ხელი შეეწყო საქართველოს სავაჭრო სისტემის ევროკავშირის სტანდარტების გათვალისწინებით ფორმირებას, უცხოური ინვესტიციების ზრდას, საექსპორტო პროდუქციის შექმნას და ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯის შემცირებას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან ერთად, ქართველი მხარისთვის უპრეცედენტო შეთანხმების შედეგი იყო სატარიფო ლიბერალიზაცია, ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნივრის გარდა) გათავისუფლებული იყო საბაჟო ტარიფისგან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას. სავაჭრო ურთიერთობის ეს დინამიკა მეტად პოზიტიურია საქართველოსთვის. საბოლოო ჯამში, DCFTA არეგულირებს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: ტარიფები, საბაჟო საკითხები, საქონლის წარმოშობის წესები, მომსახურებით ვაჭრობა, სანიტარული ზომები და სხვ (ასოცირების შესახებ შეთანხმება).

კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღება და პოტენციური პრობლემები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობის გაღრმავებას

ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესაძლებლობების განხილვაზე დიდი გავლენა იქონია რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა. კანდიდატი ქვეყნის სტატუსი საქართველოს 2023 წლის დეკემბერში მიენიჭა. ევროკომისიამ 8 ნოემბერს გასცა რეკომენდაცია, რომ საქართველოს მინიჭებოდა კანდიდატის სტატუსი, თუმცა დათქმებით მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება, ჯამში ცხრა მიმართულებით წარმოადგინეს ის პირობები, რომელთა ნაწილიც საქართველოსთვის 2022 წლის ივნისში გაცემული 12 რეკომენდაციის განმეორებაა. მეორე ნაწილი ამ ცხრა პირობიდან სრულიად

ახალია. საყურადღებო ამ მიმართულებით ის ნაწილია, რომელიც პოტენციურად საფრთხეს უქმნის ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობის გაღრმავებას და რომლის აღნიშვნაც, როგორც პირობის აუცილებლად მიიჩნია ევროკომისიამ: **ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ დეზინფორმაციასთან და უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებთან ბრძოლა. ვფიქრობ, ეს იყო პასუხი საქართველოში მოჭარბებული ევროსკეპტიკური ნარატივისა, რომელსაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები ატარებენ. სამომავლოდ ევროკავშირის შესახებ დიდი რაოდენობით დეზინფორმაციის გავრცელებამ შეიძლება გაართულოს კომუნიკაცია საქართველოს და ევროკავშირს შორის** (საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა, 2023).

პოტენციურ პრობლემად ისახებოდა[1] 2024 წელს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების ცდა. პაველ ჰერჩინსკმა კანონის შესახებ განაცხადა, რომ *„ეს კანონი არც ევროპულია, არც ამერიკული“.* ევროკავშირის ელჩი აღნიშნავს იმასაც, რომ ქართული ოცნების კანონის მიღებასთან დაკავშირებული ინიციატივა ევროკავშირთან შეუთავსებელია (რუსული კანონი და შეუსრულებელი რეკომენდაციები, 2024).

ევროკომისიის მიერ შემუშავებული ცხრა დათქმის საყურადღებო ნაწილია - საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების რეკომენდაციაც, რადგან თანხვედრის მაჩვენებელი ამჟამად მხოლოდ 43%-ია, როცა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს თანხვედრის მაჩვენებელი ორი წლის წინ 60%-ს აჭარბებდა (საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა, 2023).

[1] რადგან 2023 წელს არ იყო კანონი მიღებული პრობლემა პოტენციური იყო იმ დროისთვის, რომელიც რეალურ პრობლემად 2024 წელს იქცა.

ევროკავშირის გამოხმაურება საქართველოში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის მიღების თაობაზე

2024 წლის 14 მაისს საქართველოს პარლამენტმა საბოლოო მოსმენით მიიღო „რუსული კანონი“. კანონს მხარი დაუჭირა 84-მა დეპუტატმა, ხოლო წინააღმდეგი იყო 30. კანონის მიღების მცდელობას თან ახლდა საზოგადოების უწყვეტი პროტესტი და გაფიცვა სტუდენტების მხრიდან (პარლამენტმა რუსული კანონი მესამე მოსმენით მიიღო, 2024). კანონის მიღებაზე მკაცრი რეაქცია ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს, რომელმაც ვეტო დაადო ე.წ. „აგენტების კანონს“, თუმცა საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის მიერ კანონზე დადებული ვეტო დაძლია.

კანონის მიღებას ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობაზე, რასაც მოწმობს ის გამოხმაურებები, რომელიც მოჰყვა კანონს დასავლელი დიპლომატების მხრიდან. პაველ ჰერჩინსკიმ, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, 9 ივლისს განაცხადა: „სამწუხაროდ, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი ამ დროისთვის შეჩერებულია“. ეს გადაწყვეტილება 27-28 ივნისს მიიღო ევროპულმა საბჭომ ბრიუსელში. ეს იყო ერთგვარი "სასჯელი" დასავლეთისგან საკამათო უცხოური გავლენების კანონის მიღების საპასუხოდ, რადგან ეს კანონი 2012 წლის რუსული კანონიდან გადმოღებული ტექსტია, რუსეთში კი კანონის მიზანი დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების გაჩუმება იყო. საქართველოს შემთხვევაში, კანონი მიუთითებს ქვეყნის გეოპოლიტიკური პოზიციის ცვლილებაზეც, რომელიც შორდება ევროპას და უახლოვდება რუსეთს (Vincent, 2024).

კანონის მიღების შემდეგ ევროკავშირის პასუხი ქართული მხარისადმი იყო მკაფიო და ნათელი, გაკეთებულ განცხადებაში ვკითხულობთ: „ევროკავშირი გამოთქვამს ღრმა მწუხარებას იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტმა გადაწყვიტა პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა უცხოური გავლენის გამჭირვალობის კანონის და

უგულებელყო ვენეციის კომისიის დეტალური სამართლებრივი არგუმენტები, რომელიც მკაფიოდ რეკომენდაციას უწევდა კანონის გაუქმებას. ევროკავშირმა არაერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ეწინააღმდეგება ევროკავშირის ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს. მისი ამოქმედება ხელს უწყობს ევროკომისიის რეკომენდაციებში დასახელებული კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების დროს წარდგენილი ცხრა დათქმიდან მინიმუმ სამში უკუსვლას (დეზინფორმაციის წინააღმდეგ, პოლარიზაციის შემცირებაზე, ფუნდამენტურ უფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობაზე ჩამოყალიბებული დათქმების მიმართულებით) და უარყოფითად მოქმედებს საქართველოს სვლაზე ევროკავშირის გზაზე... ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, შეცვალოს ეს ტენდენცია და მტკიცედ დაბრუნდეს ევროკავშირის გზაზე. ჯერ კიდევ არის დრო, დინამიკის შესაცვლელად – მაგრამ ამისთვის მმართველი ხელისუფლების ძლიერი ვალდებულებაა საჭირო...ჩვენ კვლავ ვდგავართ ქართველი ხალხის გვერდით და ვაღიარებთ მათი აბსოლუტური უმრავლესობის არჩევანს საკუთარი ქვეყნის ევროპული მომავლის შესახებ" (Georgia: Statement by the High Representative with the European Commission on the final adoption of the law on transparency of foreign influence, 2024)

რეალურად კანონის მიღებით ნათელი გახდა ის კრიზისი, რომელშიც ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები შევიდა. კანდიდატის სტატუსის მიღების მიუხედავად, მითუმეტეს როდესაც ეს დათქმების საფუძველზე მოხდა, კანონის მიღების საპასუხოდვე საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი „გაიყინა“, რადგან საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგაც ევროპარლამენტარების გამოხმაურება ხაზს უსვამს ამ კანონის გაუქმების მნიშვნელობას ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისათვის. განმეორებითი არჩევნების ჩატარების მოთხოვნას ევროპარლამენტი კანონის

გაუქმების მოთხოვნასთან ერთად აჟღერებს. 2024 წლის 13 ნოემბერს ევროპარლამენტში გამართული დებატების დროს ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა მარგარიტის სხინასმა აღნიშნა, რომ:

ნებისმიერი მომავალი ხელახალი ჩართულობა საქართველოს ხელისუფლებასთან გამყარებული იქნება მკაფიო და მკაცრი პირობებით, რომლებიც ასევე ასახულია ჩვენს გაფართოების ანგარიშში. ხელისუფლებამ პირობა უნდა დადოს, რომ შეასრულებს რეფორმების დღის წესრიგს, მათ შორის, განახორციელებს კომისიის მიერ განსაზღვრულ ცხრა ნაბიჯს. მან ასევე უნდა შეწყვიტოს დეზინფორმაციის, ყალბი ამბების გავრცელება და ევროკავშირის საწინააღმდეგო სიძულვილის რიტორიკა. კონკრეტული ზომები განხილვას არ ექვემდებარება: ***უნდა გაუქმდეს კანონი უცხოური გავლენის შესახებ და ე.წ. ოჯახური ღირებულებების შესახებ კანონი (ანტი-ლგბტ კანონი)... ამის გარეშე და დემოკრატიული რეფორმების განხორციელების გარეშე, საქართველო გაწევრიანების გზაზე წინსვლას ვერ მიაღწევს...****პირობები ნათელია- დემოკრატია და კანონის უზენაესობა. რაც უფრო მალე გაიგებენ ამას თბილისში, მით უკეთესი"* (ევროპარლამენტში საქართველოს სადავო საპარლამენტო არჩევნების შესახებ დებატები გაიმართა, 2024).

ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობა 2024 წლის საქართველოში გამართული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ

საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობის ახალი კრიზისული ფაზა დაიწყო 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. ე.წ. „რუსული კანონის" მიღების შემდეგ ევროკავშირი ყურადღებით ადევნებდა თვალს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის წინასაარჩევნო კამპანიას და უშუალოდ არჩევნების დღესაც. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წინასწარი შედეგების და დასკვნების მიხედვით, რომელსაც ხელმძღვანელობდა

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტი და ადამიანის უფლებათა ოფისი, არჩევნების დღე ზოგადად პროცედურულად კარგად ორგანიზებული და მოწესრიგებულად ადმინისტრირებული იყო, მაგრამ: *"გამოირჩეოდა დაძაბული გარემოთი, ხმის ფარულობის ხშირი დარღვევით და რამდენიმე პროცედურული შეუსაბამობით, ასევე ამომრჩეველზე ზეწოლის და დაშინების ცნობებით, რამაც ნეგატიურად იმოქმედა პროცესისადმი საზოგადოებრივ ნდობაზე".* წინასწარ დასკვნაში ხაზი გაესვა, რომ დაფიქსირდა ზეწოლის შემთხვევები, განსაკუთრებით საჯარო სექტორის თანამშრომლებზე. ამას ემატებოდა არჩევნების დღეს ფართომასშტაბიანი "თვალთვალი" ამომრჩევლებზე. გარდა ამისა, არჩევნების დამკვირვებლები მიუთითებენ არათანაბარ პირობებზე, პოლარიზებულ ატმოსფეროზე და მნიშვნელოვან შეშფოთებას გამოთქვამენ ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების გავლენის გამო საარჩევნო პროცესზე. ჯოზეფ ბორელი არჩევნების შემდეგ მოუწოდებს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და სხვა შესაბამის ორგანოებს, რომ შეასრულონ თავიანთი ვალდებულება და სწრაფად, გამჭვირვალედ და დამოუკიდებლად გამოიძიონ და განიხილონ საარჩევნო დარღვევები და მასთან დაკავშირებული ბრალდებები. ეს დარღვევები უნდა დაზუსტდეს და აღმოიფხვრას. ეს არის აუცილებელი ნაბიჯი საარჩევნო პროცესისადმი ნდობის აღსადგენად (Statement by the European Commission and the High Representative Josep Borrell on the Parliamentary elections in Georgia, 2024).

წინასწარ შედეგებს და ქართული მხარის მხრიდან რეკომენდაციების იგნორირებას მოჰყვა უფრო რადიკალური შეფასებაც. სტრასბურგში გამართულ სესიაზე ევროპარლამენტარებმა ხმათა უმრავლესობით (444-72) მხარი დაუჭირეს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ბათილად ცნობის მოთხოვნას. მათი შეხედულებით, შედეგები არ წარმოადგენს ქართველი ხალხის

ნების სანდო გამოხატულებას. ევროპარლამენტარებმა მოითხოვეს არჩევნების თავიდან ჩატარება ერთი წლის ვადაში საერთაშორისო ზედამხედველობის პირობებში. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოში ხმის მიცემის პროცესი "არც თავისუფალი იყო და არც სამართლიანი", რადგან საერთაშორისო დამკვირვებლებმა გამოთქვეს შეშფოთება მოქალაქეებზე ზეწოლის, ხმების ყიდვის და ბიულეტინების გაყალბების შესახებ[2]. რეზოლუცია ასევე მოუწოდებს ევროკომისიას და სხვა ევროკავშირის ინსტიტუტებს არ ითანამშრომლონ "ქართული ოცნების" პარტიის მიერ ფორმირებულ მთავრობასთან. ევროპარლამენტარებმა ასევე მხარი დაუჭირეს სანქციებს მაღალი რანგის პოლიტიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საქართველოს „დემოკრატიულ უკუსვლაზე“ (Gavin, 2024).

ევროპარლამენტი ხაზსგასმით აღნიშნავს, რომ საარჩევნო უფლებების დარღვევა შეუთავსებელია ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნისთვის დაწესებულ სტანდარტებთან. შესაბამისად, მიღებული რეზოლუცია მკაცრად გმობს იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო სტანდარტები არ იყო დაცული 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს საქართველოში. რეზოლუციის მიღებამდე, 13 ნოემბერს ევროპარლამენტში დებატების დროს იმსჯელეს საქართველოში გამართულ არჩევნებში რუსეთის სავარაუდო გავლენაზეც. ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა მარგარიტის სხინასმა განცხადა, რომ არჩევნები სერიოზული ხარვეზებით ჩატარდა, როგორც საარჩევნო კამპანიის დროს, ისე უშუალოდ არჩევნების დღეს. მისი თქმით, ომის შიშის დანერგვით „ქართულმა ოცნებამ“ თავი მშვიდობის უზრუნველმყოფ ერთადერთ ძალად წარმოაჩინა (ევროპარლამენტში საქართველოს სადავო საპარლამენტო არჩევნების შესახებ დებატები გაიმართა, 2024).

[2] ბიულეტინის გაყალბებაში იგულისხმება „ჩაყრის“ შემთხვევები.

არჩევნების შეფასებები ზოგადად ნეგატიური იყო, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენდა უნგრელი ევროპარლამენტარი ანდრაშ ლასლო, რომელიც თავად აკვირდებოდა 26 ოქტომბერს ხმის მიცემის პროცესს. მან განაცხადა, რომ არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში გაიმართა. ხოლო დაფიქსირებულ ძალადობრივ შემთხვევებს არ მიანიჭა მნიშვნელობა, ერთეული ინციდენტებით საერთო შედეგი არ იცვლება. ევროპარლამენტარმა აღნიშნა ისიც, რომ არაფერი მომხდარა ამ არჩევნების დროს განსაკუთრებული, რაც სხვაგან ვერ მოხდებოდა. საბოლოოდ, მისი შეფასებით ქართველმა ხალხმა გააკეთა დემოკრატიული არჩევანი და ევროკავშირი ნეგატიური შეფასებებით არ უნდა ცდილობდეს საპროტესტო აქციების გაღვივებას (ევროპარლამენტში საქართველოს სადავო საპარლამენტო არჩევნების შესახებ დებატები გაიმართა, 2024).

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში ნეგატიური საერთაშორისო გამოხმაურებები მოჰყვა. ყველაზე კარგად ჩატარებული არჩევნებისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს ევროპარლამენტის რეზოლუცია, რომელშიც მხარი დაუჭირეს ჩატარებული არჩევნების ბათილად ცნობას და მოითხოვეს არჩევნების განმეორებით ჩატარება ერთი წლის ვადაში საერთაშორისო ზედამხედველობის ქვეშ.

ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხის 2028 წლამდე გადადება და ამ გადაწყვეტილების შედეგები

28 ნოემბერს კიდევ უფრო კრიზისულ საფეხურზე გადავიდა ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობს 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნაზე. განცხადებაში გაჟღერდა შემდეგი: *„ჩვენ ვართ ამაყი და თავმოყვარე ერი დიდი ისტორიით. შესაბამისად,*

ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია ევროკავშირში ინტეგრაცია განვიხილოთ, როგორც მოწყალება, რომელიც ევროკავშირმა ჩვენთვის უნდა გაიღოს“. განცხადებაში ითქვა ისიც, რომ ევროპელი პოლიტიკოსები საქართველოსთვის გამოყოფილ გრანტებს საქართველოს „შანტაჟისთვის“ იყენებენ. შესაბამისად ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ: *„2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დავაყენებთ ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნის საკითხს. ასევე, 2028 წლის ბოლომდე უარს ვამბობთ ყოველგვარ საბიუჯეტო გრანტზე ევროკავშირის მხრიდან. 2028 წლის ბოლო არის ის დრო, როდესაც საქართველო იქნება მზად, ეკონომიკური თვალსაზრისით მომზადებული, რათა გახსნას მოლაპარაკებები 2030 წელს ევროკავშირში გასაწევრიანებლად“* („ქართულ ოცნებას“ 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნა არ სურს, 2024).

განცხადებამ გამოიწვია დიდი პროტესტი ქართველ საზოგადოებაში. ბოლო 12 დღის განმავლობაში[3] დედაქალაქში მოქალაქეები აპროტესტებენ გადაწყვეტილებას ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების შეჩერებასთან დაკავშირებით. დედაქალაქის პარალელურად აქციები იმართება დიდ ქალაქებშიც: ზუგდიდში, ქუთაისში, ბათუმში... აქციების დაწყებიდან დღემდე დაკავებულია 400-მდე მომიტინგე.

100-ზე მეტმა მომქმედმა ქართველმა დიპლომატმა (29 ნოემბრის მონაცემებით) ხელი მოაწერა ღია წერილს, რომელიც აკრიტიკებს "ქართული ოცნების" გადაწყვეტილებას ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების შეწყვეტის თაობაზე. დიპლომატების განცხადებით, მმართველი პარტიის ეს გადაწყვეტილება არღვევს ქვეყნის კონსტიტუციურ ვალდებულებას ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით (Light, 2024).

[3] სტატიის დასრულების პროცესში კვლავ მიმდინარეობს მასშტაბური აქციები ყოველდღიურად.

შიდა დაძაბულობის გარდა „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საერთაშორისო გამოხმაურებაც მკაცრია. მაგალითად, შეერთებულმა შტატებმა შეაჩერა საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: "ქართული ოცნების გადაწყვეტილება, შეაჩეროს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი ეწინააღმდეგება ქართველი ხალხისთვის კონსტიტუციაში დაფიქსირებულ დაპირებას, რომელიც ითვალისიწინებს ევროკავშირსა და ნატოში სრულ ინტეგრაციას. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერებით 'ქართულმა ოცნებამ' უარი თქვა ევროპასთან უფრო მჭიდრო კავშირების შესაძლებლობაზე და საქართველო უფრო მოწყვლადი გახადა კრემლის წინაშე". განცხადებაში ნათქვამია ისიც, რომ: „ქართველი ხალხი სრულად უჭერს მხარს ევროპასთან ინტეგრაციას. შეერთებული შტატები გმობს პოლიციის მიერ ძალის გადამეტებულ გამოყენებას ქართველების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ საკუთარი შეკრებისა და გამოხატვის უფლებები, მათ შორის მშვიდობიანი პროტესტის თავისუფლება. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, უზრუნველყონ, რომ დარჩეს პროტესტი მშვიდობიანი“ (Statement on Georgia’s Suspension of European Union Accession, 2024).

თავად ევროკავშირის პოზიციაზე თუ ვიმსჯელებთ „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებასთან მიმართებით, უნდა გამოვყოთ საქართველოში ევროკავშირის ელჩის კომენტარი, რომელმაც მიღებულ თბილისის გადაწყვეტილებას, რომ 2028 წლამდე პრაქტიკულად შეჩერდეს ევროკავშირში გაწევრიანების მცდელობა „გულსატკენი“ უწოდა. მან ასევე დაგმო პოლიციის ძალადობა პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ. საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ურსულა ფონ დერ ლაიენი, ევროკომისიის პრეზიდენტი, გამოეხმაურა. მისი განცხადებით: „საქართველოს ხელმძღვანელობა ევროკავშირსა და მის ღირებულებებს ჩამოშორდა. ევროკავშირი

ქართველი ხალხისა და მათი ევროპული არჩევანის გვერდით დგას. ევროკავშირის კარი ღია რჩება. ევროკავშირის გზაზე საქართელოს დაბრუნება საქართველოს ხელმძღვანელობის ხელშია“. ანიტა ჰიპერის, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის მთავარი სპიკერის, განცხადებით ცნობები საქართველოდან მომიტინგეების ძალადობრივად დაკავების შესახებ საგანგაშოა. დიპლომატი მოუწოდებს „ქართულ ოცნებას“ შეწყვიტოს არაპროპორციული ძალის გამოყენება პროტესტანტების წინააღმდეგ, უზრუნველყოს შეკრების თავისუფლება. ანტონიო კოშტაც, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, გმობს ძალადობას მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ. ზოგადად ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ოფიციალური განცხადებით: *„ასამბლეა მკაცრად გმობს თბილისში ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ მიმდინარე მშვიდობიანი საპროტესტო აქციების სასტიკ რეპრესიებს, როგორც გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების ფუნდამენტური უფლებების დარღვევას“* (საერთაშორისო გამოხმაურება საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე | განახლებადი, 2024).

ევროპელმა ტრეიდერებმა აღნიშნულ სიახლეზე რეაგირება მოახდინეს ლონდონში ჩამოთვლილი ქართული ბანკების აქციების გაყიდვით. 11:15 საათისთვის[4], TBC ბანკის (.TBCG.L) აქციები 6.1%-ით დაეცა, ხოლო საქართველოს ბანკის (.BGEO.L) აქციებმა 5.7%-ით დაკარგა ღირებულება (Light, 2024).

გამართული აქციების ძალისმიერ დაშლას საერთაშორისო გამოხმაურების ახალი ტალღა მოჰყვა. მიხაელ როთმა, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავჯდომარემ, აღნიშნა, რომ მმართველი პარტია ანადგურებს საქართველოს მომავალს, ევროპამ კი უნდა გამოიღვიძოს და გვერდით დაუდგეს ერთგულ ევროპელებს. მარგუს ცაჰკნას განცხადებით[5]: *„ბალტიისპირეთის*

[4] სტატია 2024 წლის 29 ნოემბერს არის გამოქვეყნებული.

[5] ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

სამი ქვეყანა ერთობლივად შევთანხმდით, სანქციები დავუწესოთ მათ, ვინც საქართველოში ლეგიტიმურ პროტესტს ახშობს. დემოკრატიის მტრები და ადამიანის უფლებების დამრღვევები ჩვენს ქვეყანაში არ მიიღებიან". მეთიუ მილერის[6] განცხადებით, აშშ გმობს „ქართული ოცნების" ძალადობრივ ქმედებებს საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ. მეთიუ მილერი აღნიშნავს, რომ: *„ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს, რათა ხელი შევუწყოთ ანგარიშვალდებულებას მათთვის, ვინც ცდილობს საქართველოს დემოკრატიას ძირი გამოუთხაროს"* (საერთაშორისო გამოხმაურება საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე | განახლებადი, 2024).

რთულია ვისაუბროთ ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობაზე დღეს, რადგან საქართველოს დიდი ქალაქების ქუჩებში ყოველდღიურად იმართება საპროტესტო აქციები 2028 წლამდე მოლაპარაკების გადადების მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ. ევროინტეგრაციის გზაზე 2024 წლის 26 ოქტომბერს გამართული არჩევნების ნეგატიური შეფასებები თავისთავად წარმოადგენდა ურთიერთობის რთულ ფაზაში გადასვლას, რასაც ემატებოდა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ მიღებული კანონიც. თუმცა 2028 წლამდე ქართული მხარის ინიციატივით ევროკავშირთან მოლაპარაკების გადადება, ამ გადაწყვეტილების გასაპროტესტებლად გამოსული მოსახლეობის დაკავება და ძალადობრივი დარბევა უფრო ნეგატიურს ხდის ევროპელი დიპლომატების შეფასებებს და შესაბამისად ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობაც კრიზისულ ფაზაშია შესული.

დასკვნა

ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობის ისტორიულ ჭრილში განხილვით ნათელი გახდა, რომ დამოუკიდებლობის მო-

[6] აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი.

პოვების შემდეგ საქართველოსთან მიმართებით ევროკავშირის გატარებული პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს იმ მნიშვნელოვანი გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის მეშვეობით, რომლებმაც წინაპირობა ჩაუყარეს სხვადასხვა სფეროში არსებული სტანდარტების ევროკავშირთან შესაბამისობას. კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ აგვსიტოს ომის შემდეგ ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობა მეტად ფოკუსირდებოდა პოლიტიკურ სფეროში შეთანხმებების მიღწევაზე, რისი საბოლოო შედეგიც იყო 2014 წელს დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმება. შეთანხმების პირობების წარმატებით განხორციელების და ისეთი საგარეო ფაქტორების გავლენით, როგორიც რუსეთ-უკრაინის ომია, ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა დაჩქარდა და საქართველოს 2023 წელს მიენიჭა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. თუმცა ეს სტატუსი ქვეყანამ დათქმების წაყენების ფონზე მიიღო და შესაბამისად დათქმებში გაჟღერებული ისეთი საკითხი, როგორიც ევროკავშირის ღირებულებების შესახებ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან და უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებთან ბრძოლაა, პირდაპირ აისახება ევროკავშირი-საქართველოს მომავალი ურთიერთობის განმტკიცებაზე. თუმცა ევროინტეგრაციის გზაზე პროგრესს საფრთხე 2024 წელს მკაფიოდ დაემუქრა, რადგან ქართულმა მხარემ მიიღო გადაწყვეტილება და 2028 წლამდე გადადო ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები, გადაწყვეტილების გასაპროტესტებლად ქუჩაში გამოსულ ქართველ მოქალაქეებს კი ძალადობრივად არბევდა დღეების განმავლობაში. ეს ყველაფერი ევროკავშირის ფუნდამენტურ ფასეულობებთან სრულ წინააღმდეგობაში მოდის, რასაც მოწმობს ევროპელი დიპლომატების მიერ გაკეთებული განცხადებები და მხარდაჭერის დადასტურება ქართველი მოსახლეობისა და მათი ნებისადმი.

ბიბლიოგრაფია

Arenare, A. (2015). *The European Engagement in Georgia.* Aalborg University.

Gavin, G. (2024, ნოემბერი 28). Georgia election was not fair and must be re-run, European Parliament concludes. მოპოვებულია წყაროდან https://www.politico.eu/article/georgia-election-was-not-fair-must-be-re-run-european-parliament-statement-membership-candidacy-eu/

Georgia, C. (2024, ნოემბერი 14). ევროპარლამენტში საქართველოს სადავო საპარლამენტო არჩევნების შესახებ დებატები გაიმართა. მოპოვებულია წყაროდან https://civil.ge/ka/archives/635342

Georgia, F. (2024, დეკემბერი 9). საერთაშორისო გამოხმაურება საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე | განახლებადი. მოპოვებულია წყაროდან https://forbes.ge/saerthashoriso-gamokhmaureba-saqarthveloshi-mimdinare-movlenebze-ganakhlebadi/

Georgia: Statement by the High Representative with the European Commission on the final adoption of the law on transparency of foreign influence. (2024, მაისი 28). მოპოვებულია წყაროდან https://www.eeas.europa.eu/eeas/georgia-statement-high-representative-european-commission-final-adoption-law-transparency-foreign_en?utm_source=chatgpt.com

Light, F. (2024, ნოემბერი 29). Georgian diplomats decry halt to EU talks after dozens arrested in pro-EU protests. მოპოვებულია წყაროდან https://www.reuters.com/world/europe/eu-envoy-says-georgias-freezing-eu-talks-is-not-will-population-interpress-2024-11-29/?utm_source=chatgpt.com

Miller, M. (2024, ნოემბერი 30). Statement on Georgia's Suspension of European Union Accession. მოპოვებულია წყაროდან https://www.state.gov/statement-on-georgias-suspension-of-european-union-accession/

Negotiations, D.-G. f. (2024, ოქტომბერი 27). Statement by the European Commission and the High Representative Josep Borrell on the

Parliamentary elections in Georgia. მოპოვებულია წყაროდან https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/news/statement-european-commission-and-high-representative-josep-borrell-parliamentary-elections-georgia-2024-10-27_en?utm_source=chatgpt.com

Nicu Popescu, M. L. (2008). *Can the EU win the peace in Georgia?* ECFR Policy Brief.

on.ge. (2024, მაისი 14). პარლამენტმა რუსული კანონი მესამე მოსმენით მიიღო. მოპოვებულია წყაროდან https://on.ge/story/129151-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94

Vincent, F. (2024, ივლისი 12). Georgia's EU accession process frozen in wake of 'foreign influence' law. მოპოვებულია წყაროდან https://www.lemonde.fr/en/international/article/2024/07/12/georgia-s-eu-accession-process-frozen-in-wake-of-foreign-influence-law_6682413_4.html?utm_source=chatgpt.com

ასოცირების შესახებ შეთანხმება. (n.d.). მარტი 21, 2024, მოპოვებულია წყაროდან https://infocenter.gov.ge/eu-georgia/association-agreement/

თავისუფლება, რ. (2023, დეკემბერი 14). საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა. მოპოვებულია წყაროდან https://www.amerikiskhma.com/a/eu-granted-candidate-status-to-georgia/7398330.html

თავისუფლება, რ. (2024, ნოემბერი 28). „ქართულ ოცნებას“ 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნა არ სურს. მოპოვებულია წყაროდან https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html

კაპანაძე, ბ. (n.d.). აღმოსავლეთ-პარტნიორობის მომავალი და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ახალი პერსპექტივები.

მოპოვებულია წყაროდან https://di.gov.ge/publications/analytical-collection/aghmosavleth-partniorobis-momavali-da-saqarthvelo-evrokavshiris-urthierthobebis-akhali-perspeqtivebi/

კუნჭულია, ლ. (2009, აგვისტო 13). რა ფორმით არსებობს და რა შედეგი მოიტანა 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებამ. მოპოვებულია წყაროდან https://www.radiotavisupleba.ge/a/1798423.html

მშვიდობის, დ. დ. (2008, სექტემბერი). 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ: რუსეთ საქართველოს ომის შედეგები. მოპოვებულია წყაროდან https://www.cipdd.org/upload/files/AfterAugust2008-geo[1].pdf

რუსული კანონი და შეუსრულებელი რეკომენდაციები. (2024, აპრილი 11). მოპოვებულია წყაროდან https://formulanews.ge/News/109133

სამინისტრო, ს. ს. (n.d.). საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია. 14 მარტი, 2024, მოპოვებულია წყაროდან https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia

სამინისტრო, ს. ს. (n.d.). საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია. მოპოვებულია წყაროდან https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia

შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. (1996, აპრილი 22). მოპოვებულია წყაროდან https://infocenter.gov.ge/wp-content/uploads/2021/07/partniorobisa-da-thanamshromlobis-shesakheb-shethankhmeba.pdf

Nino Maisuradze

The Politics of the European Union toward Georgia: Historical Perspective and Crucial Issues

Abstract

Today, the European Union (EU) stands as the premier international actor in Europe, often regarded as the primary guarantor of security on the continent. In light of the ongoing Russia-Ukraine conflict, the EU's role as a peacemaker is increasingly prominent. The years 1991–1992 should be considered the beginning of the relationship between the European Union and Georgia because, immediately after Georgia's independence, efforts to establish relations with the European Union were clear, as evidenced by the European Union's financial and humanitarian assistance.

From the outset, the partnership and collaboration agreement signed in Luxembourg in 1996 between the European Union and Georgia holds particular significance, as it led to the establishment of cooperation institutions aimed at developing relations. In 2014, Georgia and the European Union entered into an Association Agreement, which superseded the 1996 "Agreement on Partnership and Cooperation." The relationship further deepened with the signing of the 2014 association agreement, which was based on the parties' partnership and mutual assistance potential. Notably, the agreement established a deep and comprehensive trading area with the European Union (Deep and Comprehensive Free Trade Area, or DCFTA), granting Georgian-produced goods and services access to the European Union market. This aspect proved pivotal for Georgia's economic development. Additionally, the agreement covered a wide range of cooperation areas, including politics and social issues, making it a comprehensive framework for collaboration.

Throughout the August war between Russia and Georgia, the European Union served as the primary diplomatic mediator. A pivotal

moment in Georgia-EU relations occurred in 2023 when Georgia was accepted as a candidate for EU membership. While Georgia officially obtained candidate status on December 14, the European Commission had recommended granting this status on November 8, contingent upon Georgia taking progressive steps in nine specific areas. An important addition of 2023 to the recommendations of 2022 was the inclusion of new points, such as a commitment to combat disinformation and foreign information manipulation concerning the EU and its values. In 2024, EU-Georgia relations entered a challenging phase, which culminated at the end of the year with the Georgian side's decision to postpone EU accession negotiations until 2028.

The study aims to examine the key aspects of the EU-Georgia relationship in chronological order and to analyze the factors that may be an obstacle to the strengthening of this relationship. It adopts a qualitative approach, utilizing document analysis. Based on secondary sources, the research evaluates the European Union's policy towards Georgia.

Keywords: EU, Georgia, foreign policy, candidate status.